12/11/2024

MES 6 24 0001452148

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.10.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:30 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

თამარ ლომინაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - სხდომის მდივანი;
თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ქეთევან ნანობაშვილი – შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
გიორგი მირიანაშვილი - შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენელი:

სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დიანა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
რომეო გალდავა - ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ევროპის უნივერსიტეტი
ნინო ტალიაშვილი - რექტორი;
ილია ბოცვაძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
რუსუდან გოგიტიძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი
თამარ გარდაფხაძე - რექტორი;
ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მანანა ალადაშვილი - "ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ციცინო თურქაძე - საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მანანა ქარჩავა - ,,სასურსათო ტექნოლოგია და უვნებლობა" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები
ნინო ჯოჯუა – I საკითხი
იოსები ლაზარაშვილი - I საკითხი
თინათინ გაბრიჩიძე - I საკითხი
მირანდა ნონიკაშვილი - I საკითხი
რაინალდ კასპრიკი (Rainald Kasprik) (თავმჯდომარე) - II საკითხი
შორენა ქურდაძე - II საკითხი
ლარისა პატარაია - II საკითხი
თამთა ლეკიშვილი - II საკითხი
ლიანა ზაგაშვილი - II საკითხი
ირაკლი გორგილაძე - III საკითხი
ეკა ლეკაშვილი - IV საკითხი
ჟუჟა ხაჭაპურიძე - V საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ, ხოლო საბჭოს სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ციური დურულმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· **კი**

სსიპ - განათლების ხარისხის ერონული ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, საბჭოს წევრებს დამატებით ემსჯელა შპს ევროპის უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადის განსაზღვრას.
საბჭომ თანხმობა გამოხატა შუამდგომლობების განხილვაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
6. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო (240 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.

პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი/Master of English Philology
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ჯოჯუა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხება პროგრამაში ინგლისური ენის გამოყენების გაზრდას, კერძოდ, ქართულ ენაზე ბიბლიოგრაფიის ჩანაცვლებას ინგლისური ბიბლიოგრაფიით, ლექციებზე ინფორმაციის ინგლისურ ენაზე უფრო მეტად მიწოდებასა და ინგლისურ ენაზე დავალებების მოთხოვნას. მეორე რეკომენდაცია ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამაზე მისაღები წინაპირობების გადახედვასა და შეცვლას პროგრამის ყველა სწავლის შედეგის მაგისტრატურის დონეზე მაქსიმალურად მიღწევის მიზნით. მესამე რეკომენდაცია ეხება თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შეფასების რუბრიკების დეტალურად შესწავლასა და მორგებას იმ ამოცანის სპეციფიკაზე, რომლის შეფასებასაც ის აპირებს, ისე რომ ასევე გათვალისწინებული იქნას განსხვავება შესაფასებელ კომპეტენციებში და უნარებში, წერილობითია ის თუ ზეპირი. მეოთხე რეკომენდაცია ეხება სასწავლო გეგმის რუკის გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება სამივე დონეზე და პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად განვითარებული იყოს. მეხუთე რეკომენდაცია ეხება კონკრეტული არაპირდაპირი მეთოდების პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად განსაზღვრას და კონკრეტული ინსტრუმენტებისა და სამიზნე ნიშნულების შემუშავებას. ბოლო რეკომენდაცია ეხება პროგრამის ძირითადი ლიტერატურისა და ბიბლიოთეკის კომპიუტერებში შენახული სხვა სასწავლო მასალების განთავსებას ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ელექტრონული კატალოგის პლატფორმებზე.
ექსპერტის თქმით, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ასევე გაიცა 13 რჩევა. მან აღნიშნა, რომ პირველი რჩევა ეხება სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით შესაძლო შესაძლებლობების შესწავლას, როგორც საზღვარგარეთ ისე სამშობლოში (სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან). სწავლების მთავარ ენად ქართული ენის გამოყენება ამ მხრივ შეზღუდვას წარმოადგენს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშესაწყობად შესაძლო ზომების შესწავლა. მეორე რჩევა ეხება პრორამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის, შინაარსისა და მიზნების შესაბამისობაში მოყვანას, ინგლისური ენის დაუფლების მიმართულებით, კერძოდ, უფრო მეტი მასალის ინგლისურ ენაზე სწავლებითა და ინგლისურის, როგორც სწავლების მთავარი ენის გამოყენებით. მესამე რჩევა ეხება ქართულ ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული მასალების ინგლისური

ენათმეცნიერებით ჩანაცვლებას, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. მეოთხე რჩევა ეხება ინგლისურენოვანი ბიბლიოგრაფიის ჩართვას, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. მეხუთე რჩევა ეხება სალიტერატურო მასალების შემოტანას არა-ბრიტანული და ამერიკული კონტექსტებიდან. მეექვსე რჩევა ეხება სილაბუსებში ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის გამოყენებას, ნაცვლად „Gmail.com"-ისა. მეშვიდე რჩევა ეხება პროგრამის წინაპირობებად მოთხოვნილი საერთაშორისო გამოცდების სიის გადახედვას (მაგალითად, საჭირო ენის დონის, ქულების ბარიერების და კონკრეტული გამოცდის ზოგადი პროფილის თვალსაზრისით). მერვე რჩევა ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროგრამის წინაპირობების ნაწილის ქართული ენის კომპეტენციის თვალსაზრისით უფრო დეტალურად აღწერას. მეცხრე რჩევა ეხება პოტენციურ დამსაქმებლებთან და/ან პრაქტიკის ობიექტებთან სავალდებულო პრაქტიკის დაგეგმვის შემთხვევაში შესაბამისი სილაბუსის შემუშავებას და პროგრამაში ჩართვას. მეათე რჩევა ეხება პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის დონის შემდგომ მხარდაჭერასა და წახალისებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის სამაგისტრო დონის გათვალისწინებით. მეთერთმეტე რჩევა ეხება სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკით და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკის შესახებ ინფორმაციის გარკვევით მიწოდებას. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიების შესაძლებლობების და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სხვა სივრცეების უკეთ წარმოჩენას. მეთორმეტე რჩევა ეხება უფრო მოქნილი და შიდა სისტემური არხის შექმნას სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციისთვის. მაგალითად, ისეთის, როგორიცაა „სტუდლაბის" პროგრამა. და ბოლოს, მეცამეტე რჩევა ეხება სტანდარტების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრისას მეტი ყურადღების გამახვილებას სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომეო გალდავა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაცია და რჩევა იქნება შესრულებული. ასევე დაწესებულების დეტალური პოზიცია თითოეულ რეკომენდაციასა და რჩევაზე მოცემულია არგუმენტირებულ პასუხში, რომელიც საბჭოს წევრებისათვის ხელმისაწვდომია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ სთხვა დაწესებულების წარმომადგენლებს მერვე რჩევასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოსთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ რჩევაში აღნიშნული საკითხი დაწესებულებაში დარეგულირებულია. იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი ვერ წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამდასტურებელ დოკუმენტს, მაშინ მას პროგრამაზე მიღების მიზნით ჩაუტარდება B2 დონის ტესტირება. შესაბამისად, უცხო ენის მოქალაქეები უნივერსიტეტში ირიცხებიან მინისტრის ბრძანებით და ამ პროცედურის გავლის გარეშე ისინი ვერ მოხვდებიან აღნიშნულ პროგრამაზე. პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში ამის შესახებ მწირი ინფორმაცია მოცემული თუმცა ეს არ ნიშნავს რა თქმა უნდა, იმას, რომ უნივერსიტეტი არ ხელმძღვანელობს მინისტრის მიერ დამტკიცებული „№224 ბრძანებით".

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგებთან და მის შეფასებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში საკმაოდ

კომპლექსური სწავლის შედეგებია მოცემული, რომლებიც დაჯგუფებულია „ცოდნა-გაცნობიერებად“, „უნარებად“ და „ავტონომიურობა - პასუხისმგებლობად“. მას აინტერესებდა, გაუჭირდებოდა თუ არა კომპლექსური შედეგების შეფასება უნივერსიტეტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკის და შეფასების ინსტრუმენტების არაპირდაპირი და პირდაპირი მეთოდებით გადახედვასთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან რეკომენდაცია გაიცა, რომელსაც უნივერსიტეტი დაეთანხმა. მისი თქმით, პროგრამა არის ახალი, რომელსაც მომავალში მოუწევს გადახედვა და შემოწმება. დაწესებულება აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდა ენის დაუფლების დარგობრივი სტანდარტით, რომელიც ითხოვდა ამ კომპლექსური ცოდნისა და უნარების სინთეზს. როდესაც უნივერსიტეტი ადგენდა პროგრამის კურიკულუმს, მაშინ გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევა, ადრე მოქმედი პროგრამის გამოცდილება და "ბენჩმარკინგის" შედეგები. შესაბამისად, ამის საფუძველზე დადგინდა ის თუ რომელი სავალდებულო და არჩევითი საგნებით უნდა გასულიყო პროგრამა სწავლის შედეგებზე. „ცოდნა - გაცნობიერების“ ნაწილს ეხება ფილოლოგიის კომპეტენციის დარგის საგნები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული კომპონენტი და უნარებზე განვითარების შესაძლებლობა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების გეგმის ფორმა, სამდონიანი საგნების განსაზღვრა, შეფასების ინსტრუმენტები, ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები პროგრამას თან ახლავს, რომელთა ნახვაც თითოეულ საბჭოს წევრს შეუძლია.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, რამდენიმე სილაბუსში გაკეთებულია მრავალფეროვანი ჩამონათვალი სწავლების მეთოდებისა და აქტივობების კუთხით თუმცა მაგალითად, სასწავლო კურსში „ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში“, კვირების მიხედვით არ არის ყველა მათგანი გამოყენებული. მას აინტერესებდა, რით იყო ეს განპირობებული და საჭირო იყო თუ არა ამ მიმართულებით სილაბუსების გადახედვა. მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია და რჩევა, რომელიც დაწესებულებამ გაიზიარა. მისი თქმით, ყველა საგანი ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და მიზნების განხორციელებას. ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მისი შესრულება დამოკიდებულია პროგრამის ამოქმედებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 15:50
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2030 წლის 1 მაისამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2030 წლის 1 მაისამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში ინგლისური ენის გამოყენების გაზრდა (ქართულ ენაზე ბიბლიოგრაფიის ჩანაცვლება ინგლისური ბიბლიოგრაფიით, ლექციებზე ინფორმაციის ინგლისურ ენაზე უფრო მეტად მიწოდება, ინგლისურ ენაზე დავალებების მოთხოვნა);

- რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადახედოს და შეცვალოს პროგრამაზე მისაღები წინაპირობები, რათა მაქსიმალურად მიაღწიოს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს მაგისტრატურის დონეზე.

- რეკომენდებულია თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შეფასების რუბრიკების დეტალურად შესწავლა და მორგება იმ ამოცანის სპეციფიკაზე, რომლის შეფასებასაც ის აპირებს, ისე რომ ასევე გათვალისწინებული იქნას განსხვავება შესაფასებელ კომპეტენციებში და უნარებში, წერილობითია ის თუ ზეპირი.

- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება სამივე დონეზე და პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად იყოს განვითარებული

- რეკომენდებულია განისაზღვროს კონკრეტული არაპირდაპირი მეთოდები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად, შემუშავდეს კონკრეტული ინსტრუმენტები და განისაზღვოს სამიზნე ნიშნულები

- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი ლიტერატურისა და ბიბლიოთეკის კომპიუტერებში შენახული სხვა სასწავლო მასალების განთავსება ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ელექტრონული კატალოგის პლატფორმებზე.

რჩევები:

- სასურველია სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით შესაძლო შესაძლებლობების შესწავლა, როგორც საზღვარგარეთ ისე სამშობლოში (ანუ, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან). სწავლების მთავარ ენად ქართული ენის გამოყენება ამ მხრივ შეზღუდვას წარმოადგენს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშესაწყობად შესაძლო ზომების შესწავლა;

- სასურველია კვალიფიკაციის, შინაარსისა და მიზნების შესაბამისობაში მოყვანა, ინგლისური ენის დაუფლების მიმართულებით, კერძოდ უფრო მეტი მასალის ინგლისურ ენაზე სწავლებით და ინგლისურის, როგორც სწავლების მთავარი ენის გამოყენებით;

- სასურველია ქართულ ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული მასალები ჩანაცვლდეს ინგლისური ენათმეცნიერებით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება;

- სასურველია, სადაც შესაძლებელი იქნება, ინგლისურენოვანი ბიბლიოგრაფიის ჩართვა;

- სასურველია სალიტერატურო მასალების შემოტანა არა-ბრიტანული და ამერიკული კონტექსტებიდან;

- სასურველია, სილაბუსებში ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის გამოყენება, ნაცვლად gmail.com-ისა.
- სასურველია პროგრამის წინაპირობებად მოთხოვნილი საერთაშორისო გამოცდების სიის გადახედვა (მაგალითად, საჭირო ენის დონის, ქულების ბარიერების და კონკრეტული გამოცდის ზოგადი პროფილის თვალსაზრისით);
- სასურველია რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროგრამის წინაპირობები უფრო დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამის წინაპირობების ნაწილში ქართული ენის კომპეტენციის თვალსაზრისით;

- პოტენციურ დამსაქმებლებთან და/ან პრაქტიკის ობიექტებთან სავალდებულო პრაქტიკის დაგეგმვის შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება შესაბამისი სილაბუსის შემუშავება და პროგრამაში ჩართვა;

- სასურველია პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის დონის შემდგომი მხარდაჭერა და წახალისება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის სამაგისტრო დონის გათვალისწინებით;

- სასურველია სტუდენტებს გარკვევით მიეწოდოს ინფორმაცია ბიბლიოთეკით სარგებლობისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკის შესახებ. ასევე, უკეთ წარმოაჩინონ კომპიუტერული ლაბორატორიების შესაძლებლობები და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სხვა სივრცეები;

- სასურველია, უფრო მოქნილი და შიდასისტემური არხის შექმნა სტუდენტებს შორის და სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციისთვის. მაგალითად, „სტუდლაბის“ პროგრამის განახლებით და გაუმჯობესებით;

- სასურველია სტანდარტების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებისა განსაზღვრისას, მეტი ყურადღება გამახვილდეს სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებზე.

მეორე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/ Business Administration **5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/ Business Administration **5. დეტალური სფეროსკოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

აცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ - აცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საკითხის განხილვის თარგმნა უზრუნველყო თარჯიმანმა ანი ლელაძემ

საერთაშორისო ექსპერტი, რაინალდ კასპრიკი (Rainald Kasprik) მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები. ასევე შეხვდა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს. მისი თქმით, ზოგადი წარმოდგენა უნივერსიტეტის შესახებ ძალიან კარგი იყო. შპს ევროპის უნივერსიტეტი არის მოწესრიგებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული და განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის მიმართ გაიცა ერთი რეკომენდაცია და თერთმეტი რჩევა. გაცემული რჩევები სწავლება სწავლის მეთოდოლოგიასა და დაფინანსების საკითხს ეხება, ხოლო რეკომენდაცია კი მიზნად ისახავდა პროგრამასა და სილაბუსებში სოციალური გავლენის უფრო მეტად ასახვას და გათვალისწინებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, სოფიო ხუნდაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი მიზნებითა და შედეგებით აღწერს ისეთი ცოდნისა და უნარების კომპეტენციების გამომუშავებას, რომელთა მეშვეობითაც კურსდამთავრებულს შეუძლია აღნიშნული სფეროს განვითარებაში ღირებული წვლილის შეტანა. პროგრამის მიზნები პირდაპირ ასახავს სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულების განვითარების კუთხით არსებულ მიზნებს. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ცხრილი/რუკა, რომელიც ასახავს იმას თუ პროგრამის რა ნაწილი არის დაწესებულების მისიასთან შესაბამისი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა თავისი მიზნებით ემსახურება უნივერსიტეტის მისიის შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაზე არის მათემატიკის ერთი კურსი ეკონომიკისა და ბიზნესისთვის. ტრადიციულად მათემატიკა ისწავლება ორ კურსად „ალბათობის თეორიასთან“ ერთად. „ალბათობის თეორიის“ საკითხები არ არის განხილული მათემატიკის აღნიშნულ კურსში. მას აინტერესებდა, როგორ შეძლებს სტუდენტი რისკისა და სადაზღვევო შემთხვევის ალბათობის შესწავლას მაშინ, როდესაც მას ალბათობის თეორია არ უსწავლია.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა, რატომ არ იყო მათემატიკა პროგრამაში მოცემული რომელიმე საგნის წინაპირობად.
საერთაშორისო ექსპერტმა, კასპრიკ რაინალდიმ აღნიშნა, რომ მათემატიკისა და ალბათობის თეორიასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა დეტალური განხილვა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხი სამაგისტრო დონეს ეხებოდა, ექსპერტთა ჯგუფმა თავი შეიკავა რეკომენდაციის გაცემისაგან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრება გაიზიარა და აღნიშნა, რომ სტუდენტი სტატისტიკაში შეისწავლის იმ საკითხს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. მათემატიკა არაირიბად არის სტატისტიკის წინაპირობა. მათემატიკის მინიმალური ცოდნა დაწესებულებას პროგრამაში პრერეკვიზიტად აქვს ჩადებული. ამრიგად, სტუდენტი ჯერ სწავლობს „მათემატიკას“, შემდეგ „მათემატიკას ბიზნესისათვის“, ამის შემდეგ „სტატისტიკას“, ხოლო ბოლოს შეიმეცნებს „ბიზნესის მოდელირებასა და გადაწყვეტილების მიღების ანალიზს“. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე გამოთქვა სურვილი, რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება ორივე პროგრამასთან მიმართებით, ძალაში შვიდეს საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ოქტომბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ოქტომბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ოქტომბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ოქტომბრამდე.

დაწესებულებას ორივე პროგრამასთან („ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო) დაკავშირებით შესასრულებლად განესაზღვრა რეკომენდაცია:

- **რეკომენდებულია** საგანამანათლებლო პროგრამით (რომელიმე სასწავლო კურსის ფარგლებში) გათვალისწინებული იქნას ალბათობის თეორიის საკითხების მეტი სიღრმით შესწავლა. ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია სტანდარტების საერთო შეფასებაზე.

რჩევები:

- სასურველია პროგრამებში ეფექტურად გამოიკვეთოს, შემუშავდეს და აქტიურად შეეწყოს ხელი მათ სოციალურ გავლენას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და უნივერსიტეტის მისიის განაცხადის შესაბამისად;

- სასურველია, სწავლის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით, პირდაპირი მეთოდის რიცხვითი შეფასებისას 10% - იანი წესის გამოყენებისას უარყოფითი და დადებითი შეფასებების დროს, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ სტუდენტის მოსწრება ყოველთვის არ ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას;

- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერა, იმისათვის, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იყოს გათვითცნობიერებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში;

- სასურველია, სხვადასხვა მათემატიკური ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის, ჩარიცხვის შემდგომ დაწესებულებამ განახორციელოს მათი მათემატიკური ცოდნის დონის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, მათემატიკური სირთულეების დაძლევის მიზნით ტრენინგების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება ლექტორებს აირიდონ ლექციების ზედმეტად გამარტივება და უზრუნველყონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

- სასურველია, უნივერსიტეტმა პერსონალისთვის შეიმუშაოს პრაქტიკული სახელმძღვანელო პლაგიატის შესაძლო დაშვებულ ზღვართან დაკავშირებით, მაგალითად, გარკვეული რაოდენობის თანმიმდევრული სიტყვების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა ან მსგავსების შეფასებისას გარკვეულ პროცენტზე ნაკლები ქულის განსაზღვრა;

- სასურველია, ბიბლიოთეკის გამდიდრება რეგიონული და საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;

- სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სამეწარმეო უნარების სწავლებას ლაბორატორიის მოწყობით და სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

- სასურველია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ბიუჯეტის გამოყოფის მიზნები და ფარგლები, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ეფექტური სტრატეგიის შემუშავების მიზნით;

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სრულყოფილი სარეკლამო სტრატეგია, იმისათვის, რომ განათავსოს ახალი პროგრამები მიზნობრივ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

- სასურველია, დაწესებულებამ ყურადღებით შეისწავლოს დაგეგმილი ბიუჯეტი და გაითვალისწინოს, რომ ხანმოკლე პერიოდში შესაძლებელია ვერ იყოს მიღწეული სტუდენტების მიზნობრივი რაოდენობა, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტების თვალსაზრისით;

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების პროცესებში;

- სასურველია, დაწესებულებამ შეინარჩუნოს აქტიური და ხშირი თანამშრომლობა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მიზნით ბიზნესის ადმინისტრირების ყველა სფეროში.

საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი მირიანაშვილმა

მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საერთაშორისო ურთიერთობები
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 240
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტი ირაკლი გორგილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2023 წლის 25 ივლისს ანგარიშის წარმოდგენის პირობით. პროგრამის მიმართ გაცემული იყო 15 რეკომენდაცია და 12 რჩევა. რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, თუმცა არის ისეთი რეკომენდაციებიც, რომლებიც მეტწილად ან საერთოდ არ არის არის შესრულებული. მაგალითად, მე-12 რეკომენდაცია დაწესებულებამ არ გაითვალისწინა. აღნიშნული რეკომენდაცია ეხება ადგილობრივ დონეზე პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (ინსტიტუციები, ორგანიზაციები) პროგრამის დაკავშირებას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პოზიცია არ

პასუხობდა რეკომენდაციის შინაარს. შესაბამისად, შეუძლებელი იყო რაიმე სახის დასკვნის გაკეთება. მეთერთმეტე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერებას და სტუდენტებისათვის მეტი საერთაშორისო გამოცდილებისა და შესაძლებლობების მიცემას, როგორიცაა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები და პროექტები. მისი თქმით, უსდ-ს მიერ ანგარიშში წარმოდგენილი აღწერითი ნაწილით, ასევე თანდართული დოკუმენტაციით (მემორანდუმებით) ირკვევა, რომ ინსტიტუციამ გააქტიურა სამუშაოები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. აღნიშნულ გარემოებებზე მიანიშნებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ძირითადად 2024 წლის) უცხოურ ინსტიტუციებთან. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროცესი შესრულების პერიოდის მიხედვით სცდება ერთ წლიან ვადას (თითქმის შეუძლებელია) ამასთან, პროცესები აქტიურ ფაზაშია და წარმოდგენილი მტკიცებულებებიც ამის ნათელი დასტურია, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ბაია ჯაფარიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაუშვა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მასალებში გადმოტანილი იყო უცხოურ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. მისი თქმით, ანგარიშში მტკიცებულებად იყო ჩადებული ის მემორანდუმები, რომლებიც გაფორმებული ჰქონდა დაწესებულებას, კერძოდ, „ევროპულ ალიანსი საქართველოსთან“ და „იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ქართულ ოფისთან“. ასევე ანგარიშის შეფასების პროცესში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტთან“ მემორანდუმის გაფორმების მიზნით. ამ უკანასკნელთან მემორანდუმი უკვე გაფორმდა და ატარებს იურიდიულ ძალას. მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაწესებულებას გადადგმული აქვს ნაბიჯები, რომელსაც მოწმობს არაერთი გაფორმებული მემორანდუმი ამ ერთი წლის განმავლობაში. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტს იტალიის ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან მიღებული აქვს „Erasmus”-ის ფარგლებში პროგრამების ამოქმედების თანხმობა. ამრიგად, ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ამ ეტაპზეც აქტიურად მიმდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დავით გეგეჭკორმა, მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნაში დამაბნეველი შინაარსით არის მოცემული, კერძოდ, რეკომენდებულია „ციფრული დიპლომატიის“ და „უსაფრთხოების კვლევების“ სპეციალობების განვითარება, რადგან პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ისტორიულ ცოდნასა და საბაზისო კომპეტენციებზე. მას აინტერესებდა, რას ნიშნავდა „სპეციალობების განვითარება“. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ექსპერტს მითითებული ჰქონდა, რომ გარკვეულ კურსებში მოხდა ამ საკითხის გააქტიურება, თუმცა „საერთაშორისო ტერორიზმის“ სასწავლო კურსში საერთოდ არ არის ნახსენები „უსაფრთხოება“. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. გარდა ამისა, მან დაწესებულებას სთხოვა, რომ სანდრეს წიგნის თარგმნასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია მანჩხაშვილმა განაცხადა, რომ სანდრეს წიგნის თარგმნა არის ინსტიტუციური პროექტი. სახელმძღვანელოების ადგილობრივ დონეზე შექმნა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. შესაბამისად, ამიტომ იქნა აღნიშნული სახელმძღვანელოს თარგმნა გადაწყვეტილი. ეს არის ერთადერთი საგანი, რომელიც კვლევაზეა დაფუძნებული. მისი

თქმით, „საერთაშორისო ტერორიზმს“ დაემატა უსაფრთხოების საკითხები. ამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ანგარიშში.
ექსპერტმა ირაკლი გორგილაძემ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების საკითხების დამატებას „საერთაშორისო ტერორიზმში“ დაწესებულება დიდი სიფრთხილით მოეკიდა იმიტომ, რომ არ შეცვლილიყო პროგრამის მიზნები და შედეგები. შესაბამისად, მათ დაიწყეს ცალკეულ დისციპლინებში უსაფრთხოების ცალკეული საკითხების ჩაშენება იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულებულიყო და ზეგავლენა არ მოეხდინა პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:35
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეოთხე საკითხი - შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტურიზმი
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 240
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება, 1015

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ დიახ

აცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა - აცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი ეკა ლეკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზ წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სტანდარტი სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა 5 რეკომენდაცია და 9 რჩევა. პროცედურების მიხედვით, უნივერსიტეტმა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობით ტურიზმის პროგრამაზე მომუშავე შესაბამის დარგობრივი ჯგუფთან ერთად იმუშავა აღნიშნული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების საკითხზე. მისი თქმით, განხორციელებული ცვლილებები განხილული იქნა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად, ხოლო ამის შემდეგ პროცედურების დაცვით მოხდა მისი დამტკიცება. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის გუნდის მიერ სწავლის ყველა შედეგის მიღწევისა და შესაბამისი კურსებით გაძლიერების უზრუნველყოფას. ამ ნაწილში აქცენტი გაკეთდა სწავლის მეორე შედეგზე, სადაც ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში საჭირო იყო შესაბამისი სასწავლო კურსების ჩართვა. მისი თქმით, სასწავლო პროგრამაში ჩართული იქნა სასწავლო კურსი „ბიზნესის ეთიკა“, ხოლო განმტკიცების ნაწილში პრაქტიკის კომპონენტით მოხდა შედეგის მიღწევა. აღნიშნული ცვლილება შევიდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში და გაცნობის დონეზე იგივე შედეგის მიღწევას ემსახურება ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „ბიზნესის საფუძვლები“, ,,ტურიზმის საფუძვლები“ და „მენეჯმენტის საფუძვლები“. მესამე შედეგი მონაწილეობს „სამეწარმეო საქმიანობაში“, „ტურისტული პროდუქტის დაგეგმვაში“, „თვითღირებულების გაანგარიშებასა და გაყიდვაში“, „ორგანიზაციული რესურსების მართვაში“. აღნიშნული შედეგის ფორმულირებიდან გამომდინარე რთულია სწავლის შეფასება მოხდეს მთლიანად პროგრამის დასრულების შემდგომ. ამიტომ შეფასება ძირითადად ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, რომელსაც დათმობილი აქვს 10 ECTS კრედიტი (250 საათი), საიდანაც 46 დამოუკიდებელი მუშაობის და 204 საკონტაქტო საათებია, ეს შედეგი შესაძლებელია მიღწეულ იქნას. შესაბამისად, შეიძლება ვარაუდი იმისა, რომ პრაქტიკაზე მისული სტუდენტი ჩართულია იმ პროცესებში, რაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და მესამე შედეგის მიღწევას ემსახურება. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა გასცა აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, პროგრამების აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა და ასახა გადაწყვეტილებაში. პრობლემის გადაწყვეტის გზად შერჩეული უნდა იქნას მეორე შედეგის ფორმულირება ისეთი ფორმით, რომელიც რეალობასთან ყველაზე ახლოს იქნება. ამრიგად, დაწესებულებამ პირველი რეკომენდაცია შეასრულა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის მეორე სწავლის შედეგის დაუფლების გადახედვას სასწავლო გეგმის რუკაზე და სასწავლო კურსის დაზუსტებას, რომელიც ეფექტურად აითვისებს ამ კონკრეტულ სწავლის შედეგს. მისი თქმით, დაზუსტდა ასეთი კურსების ჩამონათვალი. რაოდენობრივი თვალსაზრისით თუ აღნიშნულ შედეგს ემსახურებოდა 12 სასწავლო კურსი, მეორე შედეგი ახალი ცვლილებების მიხედვით 23

სასწავლო კურსის და პრაქტიკის კომპონენტის საფუძველზე არის მიღწევადი, ამრიგად, უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. ეკა ლეკაშვილის თქმით, პირველი რჩევა ეხებოდა პრაქტიკული კომპონენტის ჩართვა 1, 2 და 5 სწავლის შედეგებში. ანგარიშის მიხედვით სწავლის პირველი შედეგი უცვლელი დარჩა, რადგან სწავლის პირველი შედეგის განმტკიცების დონე მიიღწევა სხვა სასწავლო კურსების ფარგლებში, ხოლო მეორე და მეხუთე სწავლის შედეგების განმტკიცება ხორციელდება პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფით. ამრიგად, აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა კურსში „სტატისტიკა ტურიზმში“ მიღების წინაპირობად სასწავლო კურსის „შესავალი კვლევის მეთოდებში“ განსაზღვრას. ასევე კურსში „ფინანსური მენეჯმენტი“ მიღების წინაპირობად „ფინანსებისა“ და „ფინანსური აღრიცხვის შესავალი“ განსაზღვრას, „მაკროეკონომიკის პრინციპების“ კურსის ნაცვლად. გარდა ამისა, „მენეჯმენტის საფუძვლების“ განსაზღვრას, როგორც „რისკებისა და პრობლემების მენეჯმენტის“ კურსის წინაპირობად. ეკა ლეკაშვილის თქმით, ეს ცვლილებები შეტანილი და ასახულია პროგრამის კურიკულუმში, თუმცა სასურველია, ასეთ შემთხვევაში დაწესებულებამ წარმოადგინოს ცვლილებების დამტკიცების სამართლებრივი დოკუმენტი. ამრიგად, უსდ-მ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. მეორე რჩევა ეხებოდა დაწესებულების მიერ ძალისხმევის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. მისი თქმით, მოცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ მოაწყო შეხვედრები კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. დაწესებულება, მათ გააცნო პროგრამის შინაარსი, შედეგები და მიზნები. ასევე დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგები წარმოადგინა. ამრიგად, აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ძირითადი სწავლის სფეროს – „რისკებისა და პრობლემების მართვა ტურიზმში“ არჩევითი საგნის სილაბუსების შინაარსისა და სათაურის თავსებადობის გახდომას. მისი თქმით, წარმოდგენილი ინფორმაციის და სილაბუსის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო კურსის ავტორმა ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულების მიზნით განახორციელა ცვლილებები სასწავლო კურსის სილაბუსში. შეიცვალა კვირეული დატვირთვის თემატიკა, რომელიც მორგებულია სასწავლო კურსის დასახელებას. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა. მესამე რჩევა ეხებოდა „დანიშნულების მენეჯმენტის“ ქართული სახელწოდების შეცვლას „ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტით“, რომელიც ინსტიტუციამ გაითვალისწინა. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა ძირითადი ლიტერატურის განახლებას სილაბუსებში შემდეგი კურსებისთვის – „ბიზნესის საფუძვლები “, „შესავალი სტრატეგიულ მენეჯმენტში“, ახალი ხელმისაწვდომი მასალით. სასწავლო კურსს ,,ბიზნესის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურას დაემატა: პრაიდი, უ., კაპური, ჯ., პრაიდი, რ., ბიზნესი, მე-12 გამოცემა, 2020 წ და „ბიზნესის საფუძვლები“, ავტორთა კოლექტივი /რ. დალაქიშვილი, მ. სოსელია და სხვ., თბილისი 2018 წ. სასწავლო კურსს ,,შესავალი სტრატეგიულ მენეჯმენტში“ ძირითად ლიტერატურას დაემატა: ფრედ რ. და ფორესტ რ. დევიდის სახელმძღვანელო, რომელიც 2017 წელს გამოიცა. ამრიგად, უნივერსიტეტმა რეკომენდაცია შეასრულა. მეოთხე რჩევა ეხებოდა შემდგომი კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვასა და „მიკროეკონომიკის პრინციპების“, „ტურიზმის მარკეტინგის“, „კულტურული ტურიზმის“, „ტურიზმის საფუძვლებისა“ და „ბიზნესის საფუძვლების“ დაწვრილებით წარმოდგენას. ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ რჩევის გათვალისწინების მიზნით ინსტიტუციამ შეიტანა ცვლილებები და მრავალფეროვანი გახადა სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსებში: „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „ტურიზმის საფუძვლები“ და „ბიზნესის საფუძვლები“. შესაბამისად, უნივერსიტეტმა აღნიშნული რჩევა შეასრულა. მეხუთე რჩევა ეხებოდა კომუნიკაციის პრაქტიკის გადახედვას და აუცილებელი ზომების მიღებას იმისთვის, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ გასაჩივრების პროცესის შესახებ. დაწესებულების ინფორმაციით სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აწყობს შეხვედრებს სტუდენტებთან სემესტრის დასაწყისში. აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მიზნით, გამოცდების

დაწყებამდე სტუდენტებს გაეგზავნათ ამონარიდი გასაჩივრების მექანიზმის შესახებ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტიდან მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შესაბამისად, უსდ-მ გაითვალისწინა ეს რჩევა. მეექვსე რჩევა ეხებოდა კარიერული განვითარების ცენტრისაგან პროგრამის სტუდენტებისთვის დახმარების მიღებას. ეკა ლეკაშვილის თქმით, დაწესებულებამ რჩევის გათვალისწინების მიზნით დააორგანიზა შეხვედრა დამსაქმებლებთან. ასევე ჩაატარა დასაქმების ფორუმი. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა უცხო ენის ექსპრეს კურსები. ამასთან, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაემატა ჩანართი სახელწოდებით ,,დასაქმდი", სადაც მუდმივად განახლებადი ინფორმაციაა წარმოდგენილი HR.GE-პლატფორმიდან. ამრიგად, აღნიშნული რჩევა უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. მეშვიდე რჩევა ეხებოდა უსდ-ს მიერ მეტი ძალისხმევის მიმართვას პროგრამის ინტერნაციონალიზაციისკენ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის წახალისების მექანიზმების გაძლიერების მიზნით. ეკა ლეკაშვილის თქმით, დაწესებულებამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ საბაკალავრო პროგრამებს ტურიზმის მიმართულებით, კერძოდ, პორტუგალიის, თურქეთის, კვიპროსის და ა.შ ქვეყნების უნივერსიტეტებთან. ეს გაფორმებული ხელშეკრულებები ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართვას ამ უნივერსიტეტთან ინტერნაციონალიზაციის პროცესის წასახალისებლად. ამრიგად, დაწესებულებამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა. მერვე რჩევა დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სასურველია უმაღლესი სასწავლებლისათვის პრიორიტეტული იყოს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში." მისი თქმით, ნიუუნი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა უცხო ენის ექსპრეს კურსებს. საანგარიშო პერიოდში ინგლისური ენა 2-ჯერ შესთავაზა ინსტიტუციამ სტუდენტებს ექსპრეს-კურსის სახით. შესაბამისად, დაწესებულებამ ეს რჩევა გაითვალისწინა. დაბოლოს, მეცხრე რჩევა ეხებოდა უსდ-ს მიერ ბიუჯეტში დეტალურად უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლების სტრუქტურის წარმოდგენას, რაც საფუძველს შექმნიდა პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროების შესახებ მეტი ანალიზისთვის. ეკა ლეკაშვილის თქმით, ინსტიტუციამ წარმოადგინა პროგრამა ,,ტურიზმის" საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც რჩევის შესაბამისად ჩაშლილია შემოსავლები დეტალურ მუხლებად. კერძოდ, სტუდენტთა სწავლის საფასური, სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სოციალური პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსება, ტრენინგ კურსებიდან მიღებული შემოსავალი. ამრიგად, აღნიშნული რჩევა უნივერსიტეტმა შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რჩევა და რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტს მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა უპასუხა, რომ ბოლო პერიოდში შემოვიდა ასეთი მიდგომები, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში კვლევის მეთოდები არის სტატისტიკის წინაპირობა ან პირიქით. ექსპერტმა თემებთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ზოგჯერ კვლევის მეთოდები არის საფუძვლების დონეზე და ასწავლის მინიმალურ კომპონენტს სტატისტიკისთვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ასწავლის ტურიზმის სტატისტიკას, რომელსაც წინაპირობად მათემატიკა ბიზნესისათვის აქვს მითითებული, რაც ნორმალურია, თუმცა რამ განაპირობა მოთხოვნა კვლევის მეთოდების დამატების, გაუგებარია.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის რელევანტურობაზე საუბარი, რა თქმა უნდა, გამართლებულია.

დაწყებისდრო: 18:00
დასრულების დრო: 18:15
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - „ნიუუნის“ "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0721 სურსათის გადამუშავება
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

აცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა - აცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი ჟუჟა ხაჭაპურიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დასკვნის შინაარსიდან ნათლად ჩანს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებლობა როგორც რეკომენდაციების, ისე რჩევების შესრულების მიმართ. ასევე უნივერსიტეტის მზაობა გახადოს პროგრამა უკეთესი ლაბორატორიული მეცადინეობების დამატებით, სალექციო თემატიკების გამდიდრებით და ა.შ. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაცემული იყო 8 რეკომენდაცია და 12 რჩევა. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა გარდა ორი რეკომენდაციისა. რაც შეეხება რჩევებს, უნივერსიტეტმა რჩევების ერთი ნაწილი შეასრულა, ხოლო მეორე ნაწილზე გამოთქვა მზაობა, რომ მომავალში შეასრულებს. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კვლევითი აქტივობის შესაბამისი უნარების შეცვლას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან ჰარმონიზებით. მისი თქმით, დაწესებულებამ ეს ჩანაწერი შეცვალა და მოარგო მეშვიდე დონეს, თუმცა აუცილებელია ცვლილებები აისახოს სწავლის შედეგების რუკაში და სასწავლო კურსში „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში, სადაც ამ ეტაპზე ისევ იკითხება, რომ მაგისტრანტს მოეთხოვება ის უნარ-ჩვევები, რაც დოქტორანტს. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ. მერვე რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი პროექტის სასწავლო კურსისა და სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი გადაფარვების გადახედვას და შეფასების შესაბამისობაში მოყვანას მინისტრის №3 ბრძანებასთან. მან აღნიშნა, რომ ანგარიშში პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი აღნიშნავს, რომ შეიტანა გარკვეული ცვლილება კვლევითი პროექტის სილაბუსში და მათ მიერ რეკომენდაცია შესრულებულია. მტკიცებულებად კი იყენებენ იმ ფაქტს, რომ კვლევითი პროექტის სასწავლო კურსი წარმოადგენს დამოუკიდებელ კურსს, რომლის შინაარსი არ მოდის გადაფარვაში სამაგისტრო ნაშრომთან, რადგან სტუდენტი ასრულებს თემატიკითა და შინაარსობრივად განსხვავებულ დავალებებს, თუმცა სასურველია, სილაბუსში იკითხებოდეს მსგავსი შინაარსის ტექსტი სასწავლო კურსის აღწერისას, მაგალითად, კურსის მიზანსა და ამოცანებში. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შეასრულა უნივერსიტეტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი, მანანა ქარჩავა, მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა. ის ორი რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივი შესაბამისობით შეფასდა მოთხოვნებთან, გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით, რომელიც უკვე გამოსწორებულია. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „კვლევითი პროექტი“ არის ცალკე საგანი და გადაფარვებს არ აქვს ადგილი, თუმცა სილაბუსში ეს წინადადება არ იყო დაფიქსირებული. რეკომენდაციის შესაბამისად, სილაბუსში შევიდა ცვლილება, რომ კვლევითი პროექტის თემა განსხვავებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა ტიპის სამაგისტრო ნაშრომი სრულდებოდა სტუდენტის მიერ. გარდა ამისა, პროგრამაში კვლევითი პროექტის საჭიროება რით აიხსნებოდა. პროგრამის ხელმძღვანელმა, მანანა ქარჩავამ, უპასუხა, რომ სამაგისტრო ნაშრომი კვლევითი ხასიათისაა, რომელიც უდრის სადოქტორო დისერტაციიდან აღებულ ერთ თავს. უნივერსიტეტი დიდი ხანია თანამშრომლობს ბალტიისპირეთის „კალმასის უნივერსიტეტთან“. დაწესებულებას ძალიან მოეწონა აღნიშნული პროგრამის ანალოგიური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იყო კვლევითი პროექტი და ამიტომ შემოიღო ეს უკანსკნელი. მისი თქმით, როდესაც სტუდენტი დაწერს სასურველ თემაზე ნაშრომს, ეს საკითხი გაიყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი კვლევით პროექტის, ხოლო მეორე ნაწილი სამაგისტრო ნაშრომის სახით იქნება მოცემული. რა თქმა

უნდა, ამით არ დაზარალდება სტუდენტი. ელიზბარ ელიზბარაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, კვლევით პროექტში შესრულებული კვლევა ხდებოდა თუ არა შემდგომ სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. მანანა ქარჩავამ უპასუხა, რომ კვლევით პროექტში შესრულებული კვლევა სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი არ ხდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიიღო შენიშვნა და აუცილებლად გაითვალისწინებს. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად რჩებოდა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან ერთად კვლევითი პროექტი შესრულების დრო. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა სტუდენტთა მოსაზრებების მხედველობაში მიღება. მანანა ქარჩავამ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროექტს ეთმობა 30, ხოლო კვლევით პროექტს 5 კრედიტი. კვლევით ნაშრომი სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით არის მოცულობით 6-ჯერ შემცირებული. შესაბამისად, სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომთან ერთად კვლევითი ნაშრომის შესრულება დროის თვალსაზრისით რელევანტურია. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა, რომ ის არ იყო კვლევითი პროექტის შესრულების წინააღმდეგი. მისი თქმით, პრობლემას იწვევდა მხოლოდ კრედიტის რაოდენობა და სიტყვა „პროექტი“. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, მცირე კვლევითი პროექტი, რომელიც წინ უძღვის სამაგისტრო ნაშრომს, განკუთვნილია სტუდენტის მიერ კვლევის მეთოდოლოგიის შემეცნებისთვის. კურიკულუმში მოცემულია სასწავლო კურსი „სურსათის კვლევის თანამედროვე მეთოდები“. მას აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი აღნიშნულ კურსს მცირე კვლევით პროექტთან. მანანა ქარჩავამ აღნიშნა, რომ მოცემულ კურსს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მცირე კვლევით პროექტთან. ეს კურსი წარმოადგენდა მხოლოდ დარგობრივი მიმართულების სასწავლო კურსს.

დაწყების დრო: 18:45
დასრულების დრო: 19:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეექვსე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ, საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

შპს ევროპის უნივერსიტეტთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №133 გადაწყვეტილებით შპს ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტის ოთხწლიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739908 ბრძანებით დამტკიცებული ,,2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მიერ 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის გავლის ეტაპები"-ს შესაბამისად დეტალური სფეროსთვის „041 ბიზნესი და ადმინისტრირება" აკრედიტაციის გასვლის ვადის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 31 დეკემბერი.
2024 წლის 30 აპრილს დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოადგინა ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიანი პროგრამის წარმოდგენა განმეორებით აკრედიტაციაზე არ მომხდარა. ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2024 წლის 31 დეკემბერს, ხოლო ამჟამად ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიან პროგრამაზე შპს ევროპის უნივერსიტეტში ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა კანონიერი ინტერესების გავალისწინებით, იმისათვის, რომ 240 კრედიტის მოცულობის „ბიზნესის ადმინისტრირების" ოთხწლიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ სემესტრის დასრულებისა და მიმდინარე სემესტრით გათვალიწინებული კრედიტების ათვისების შესაძლებლობა, დაწესებულება ითხოვს რომ შპს ევროპის უნივერსიტეტს მიეცეს 240 კრედიტის მოცულობის „ბიზნესის ადმინისტრირების" ოთხწლიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება **2025 წლის 10 მარტამდე.**

ასევე ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^8 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, დაწესებულების დასაბუთებული შუამდგომლობის, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუდენტს უფლება აქვს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლა გააგრძელოს იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 19:10
დასრულებისდრო: 19:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და დაწესებულების „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 01 იანვიდან 2025 წლის 10 მარტამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

მერვე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 03 ოქტომბრის №185 გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" 240 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. ხოლო „ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 31 ოქტომბრის №141 გადაწყვეტილებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739908 ბრძანებით დამტკიცებული ,,2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მიერ 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის გავლის ეტაპები"-ს შესაბამისად დეტალური სფეროსთვის „041 ბიზნესი და ადმინისტრირება" აკრედიტაციის გასვლის ვადის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 31 დეკემბერი. დაწესებულებას ცენტრში სააკრედიტაციოდ არ წარმოუდგენია „საჯარო მმართველობისა" და „ბიზნესის ადმინისტრირების" 240 კრედიტიანი პროგრამები სააკრედიტაციოდ. აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

მიმდინარეობს მხოლოდ „საჯარო მმართველობის“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ 180 კრედიტიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. დაწესებულებას ამჟამად „საჯარო მმართველობის“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ 240 კრედიტიან საგანმანათლებლ პროგრამეზე ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა კანონიერი ინტერესების გავალისწინებით, იმისათვის, რომ 240 კრედიტის მოცულობის „საჯარო მმართველობისა“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ოთხწლიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ სემესტრის დასრულებისა და მიმდინარე სემესტრით გათვალიწინებული კრედიტების ათვისების შესაძლებლობა, დაწესებულება ითხოვს რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს უფლება განახორციელოს „საჯარო მმართველობისა“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ოთხწლიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები **2025 წლის 15 თებერვლამდე.**

ასევე ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^8 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, დაწესებულების დასაბუთებული შუამდგომლობის, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუდენტს უფლება აქვს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლა გააგრძელოს იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 19:25
დასრულებისდრო: 19:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და დაწესებულების "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 01 იანვიდან 2025 წლის 15 თებერვლამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 15 თებერვლამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:32 სთ - ზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა